საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 344

20 12 წ. "09" 08

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამისათვის - ,,მათემატიკა - პროფესიული ცოდნა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკა" (2 კრედიტი) - აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 9 აგვისტოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების" მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას -,,მათემატიკა - პროფესიული ცოდნა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკა" (2 კრედიტი) - მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 9 აგვისტოს №10 სხდომის ოქმის 34-ე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ბაჩანა შენგელია

მდივანი
დიმიტრი ალავიძე